

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წ.
31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ევროფუდი” შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 92. შპს “ევროფუდი” ძირითადი საქმიანობაა საქონლით გაჭრობას/რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „ქვეყნის ფულად ერთეულებში (ფე).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიუწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის საგადასახადო მოგებას, აღიარდება გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს საგადასახადო მოგებას, ასევე ყველა გამოუყენებელ საგადასახადო ზარალთან, ან გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტთან მიმართებით. გადავადებული საგადასახადო აქტივების შეფასება ხდება მაქსიმალური შესაძლო თანხით, რომლის აღდგენაც უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არა, მიმდინარე საგადასახადო მოგებისა, თუ შეფასებული მომავალი საგადასახადო მოგების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის და მისი კორექტირება ხდება მომავალი საგადასახადო მოგების მიმდინარე შეფასების ასახვის მიზნით. ნებისმიერი კორექტირების თანხა აღიარდება მოგებაში, ან ზარალში. გადავადებული საგადასახადო გაიანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც, სავარაუდოდ, გავრცელდება იმ პერიოდების საგადასახადო მოგებაზე (საგადასახადო ზარალზე), როდესაც საწარმო მოელის გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებას, ან

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების დაფარვას და უკვე ძალაში შესულია, ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო თარიღისთვის.



ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 10-30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე

ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისადა რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის

(ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის

პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“

(„ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები


სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

4. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.



5. ამონაგები

2019

2018

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	2757891	3999595
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	185482	200642
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	19800	0
ამონაგები	2963173	4200237

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2019

2018

სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2258093

3244780

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2019

2018

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
შრომის ანაზღაურება	341244	469063
საიტარო ქირა	138449	241602
სხვა მარაგების ხარჯი	16536	27266
კომუნალური ხარჯები	48618	67494
კომუნიკაციის ხარჯები	1596	2505
ადმინისტრაციული ხარჯები	1811	32760
რეკლამის ხარჯები	953	643
ბანკის საკომისიო	1488	2369
წარმომადგენლობითი ხარჯი	1157	903
სხვა საერთო ხარჯები	67494	31435
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	619346	876040

8. არასაოპერაციო შემოსავალი

2019

2018

სულ არასაოპერაციო შემოსავალი	19800	27
------------------------------	-------	----

9. არასაოპერაციო ხარჯი

2019

2018

საპროცენტო ხარჯი	4172	12613
არასაოპერაციო ხარჯი/ზარალი	50078	784
სულ არასაოპერაციო ხარჯები	54250	13397



10. მოგება/ზარალი**2019 2018**

საანგარიშო პერიოდის მოგება /ზარალი

31484 66803

წინა საანგარიშო პერიოდის დაუფარავი ზარალი

- 8535 -74581

მოგება/ზარალი საანგარიშო წლის ბოლოსათვის

22949 -8534

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**2019 2018**

დებიტორული დავალიანება

59380 34678

12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები**2019 2018**

გასაყიდად განკუთვნილი სასაქონლო-მატერიალური

მარაგები საანგარიშო წლის ბოლოსათვის

346687 408773

სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

346687 408773



13 ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება

1 იანვარი 2019 წ 181940

31 დეკემბერი 2019წ 50089

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

გაუფასურება 0

წლიური ცვეთა 20783

(ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში)

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2019წ 50089

14. არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა:

თვითღირებულება

1 იანვარი 2019წ 7921

შემოსვლა 0

გასვლა 0

31 დეკემბერი 2019წ 7921



15. ჩვეულებრივი იჯარა**2019****2018**

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული

საიჯარო გადასახდელები, რომლებიც

მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად

138449

241602

16. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები**2019****2018**

ფულადი სახსრები სალაროში

25679

13395

ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე

13051

60050

ფულადი სახსრების ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოს

38730

73445



მოგება & ზარალი

2019 2018

შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	2943373	4200237
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2943373	4200237

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2258093	3244780
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება ფასდათმობა	2258093	3244780

საერთო მოგება	685280	955457
---------------	--------	--------

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
შრომის ანაზღაურება	341244	469063
საიტარო ქირა	138449	241602
სხვა მარაგების ხარჯი	16536	27266
კომუნალური ხარჯები	48618	67494
კომუნიკაციის ხარჯები	1596	2505
ადმინისტრაციული ხარჯები	1811	32760
რეკლამის ხარჯები	953	643
ბანკის საკომისიო	1488	2369
წარმომადგენლობითი ხარჯი	1157	903
სხვა საერთო ხარჯები	67494	31435
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	619346	876040

სულ საოპერაციო მოგება	65934	79417
-----------------------	-------	-------

არასაოპერაციო შემოსავალი


სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	19800	27
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	19800	27

არასაოპერაციო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი	4172	12613
არასაოპერაციო ხარჯი/ზარალი	50078	784
სულ არასაოპერაციო ხარჯები	54250	13397

საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	31484	66047
--------------------------------------	-------	-------

დირექტორი:



ფორმა N1 - ფინანსური მდგომარეობა

31/12/2019 31/12/2018

აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები	38730	73445
სავაჭრო მოთხოვნები	59380	34678
გადახდილი ავანსები		
მარაგები	346687	409478
მზა პროდუქცია	346687	408773
სხვა		705
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		
თვითღირებულების მოდელით		
გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	7921	7921
ძირითადი საშუალებები	50089	156405
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	502807	681927
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	470739	604556
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები	3946	8660
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	5173	77246
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	479858	690462
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	22949	-8535
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	22949	-8535
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	502807	681927

